# "პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები"


## ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე
## დოქტორი
## სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
## საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი


## აბსტრაქტი


"პოლიტიკა" ბერძნული სიტყვების "polis" (ქალაქი-სახელმწიფო) და "techné" (მეცნიერება) ნაერთია და სახელმწიფოს მართვის მეცნიერებას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით, პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ იდეოლოგიას, სტრატეგიას თუ აქტივობას, რომლებიც სახელმწიფოს მართვასთან და ამ უკანასკნელის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობასთან არის კავშირში.[1]

მაკიაველი სიტყვებით "ყველაფერი პოლიტიკა არ არის, თუმცა პოლიტიკა ყველაფრით ინტერესდება." შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოს ორგანოების მოწყობისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებს, ქვეყნის საგარეო ურთიერთობას, თავდაცვის სტრატეგიებს და მრავალ სხვა საკითხს.

პოლიტიკას ჰყავს თავისი მონაწილეებიც. პირველ რიგში, რა თქმა უნდა მათში პოლიტიკოსები იგულისხმებიან, რომლებიც მონაწილეობენ ან სურთ, რომ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში, მისი პრიორიტეტების განსაზღვრასა და შესრულებაში. როგორც წესი, პოლიტიკოსები ერთიანდებიან პოლიტიკურ პარტიებში ან საზოგადოებრივ მოძრაობებში, რომლებიც საკუთარ პროგრამებში განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების მათეულ ხედვას.



**საკვანძო სიტყვები:**
პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, დემოკრატია, პოლიტიკური რეჟიმები, იდეოლოგიები.


1 https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20

# "POLITICS AND INTERNATIONAL RELATIONS"


## BRIGADIER GENERAL MAMIA BALAKHADZE
## PH.D
## RECTOR OF LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
## NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA


## ABSTRACT


"Politics" is a combination of the Greek words "polis" (city-state) and "techné" (science) and means the science of governing the state. In the modern sense, politics includes all the ideologies, strategies or activities that are related to the governance of the state and its relations with other states.[2]

According to Machiavelli, "everything is not political, but politics is interested in everything." We can say that the politics covers issues of arrangement and interdependence of state bodies, economic, social, cultural spheres, foreign relations of the country, defense strategies and many other issues.

Politics has its participants as well. First of all, of course, it implies politicians who participate or want to participate in governing the country, defining and fulfilling its priorities. As a rule, politicians unite in political parties or public movements, which define their vision of the development of the state in their programs.



**KEYWORDS:**
Politics, International Relations, Democracy, Political Regimes, Ideologies.


2 https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20

# რა არის პოლიტიკა ?

“პოლიტიკა” ბერძნული სიტყვების “polis” (ქალაქი-სახელმწიფო) და “techné” (მეცნიერება) ნაერთია და სახელმწიფოს მართვის მეცნიერებას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით, პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ იდეოლოგიას, სტრატეგიას თუ აქტივობას, რომლებიც სახელმწიფოს მართვასთან და ამ უკანასკნელის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობასთან არის კავშირში.[3]

მაკიაველი სიტყვებით “ყველაფერი პოლიტიკა არ არის, თუმცა პოლიტიკა ყველაფრით ინტერესდება.” შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოს ორგანოების მოწყობისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებს, ქვეყნის საგარეო ურთიერთობას, თავდაცვის სტრატეგიებს და მრავალ სხვა საკითხს.

პოლიტიკას ჰყავს თავისი მონაწილეებიც. პირველ რიგში, რა თქმა უნდა მათში პოლიტიკოსები იგულისხმებიან, რომლებიც მონაწილეობენ ან სურთ, რომ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვაში, მისი პრიორიტეტების განსაზღვრასა და შესრულებაში. როგორც წესი, პოლიტიკოსები ერთიანდებიან პოლიტიკურ პარტიებში ან საზოგადოებრივ მოძრაობებში, რომლებიც საკუთარ პროგრამებში განსაზღვრავენ სახელმწიფოს განვითარების მათეულ ხედვას.

პოლიტიკა კონფლიქტისა და თანამშრომლობის მონაცვლეობაზეა აგებული. ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების, ინტერესებისა და საჭიროებების არსებობა ნიშნავს, რომ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის უთანხმოება გარდაუვალია. მაგრამ პოლიტიკის მონაწილეებს ისიც კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ინტერესების მიღწევა და საკუთარი მოსაზრებების გატანა მხოლოდ კონფლიქტის საშუალებით შეუძლებელია და სხვა ადამიანებთან თანამშრომლობას საჭიროებს. ამიტომაც, პოლიტიკა უთანხმოებების გადაწყვეტის ძიების პროცესს წარმოადგენს.[4]

ხდება ისეც, რომ უთანხმოების გადაწყვეტა მშვიდობიანად ვერ ხერხდება. ამ შემთხვევაში საქმე მიდის რევოლუციამდე და ომამდე. ომი და ძალადობა პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.[5]

პოლიტიკური იდეები საუკუნეებს უძლებს და ახალი ფორმით ბრუნდება საზოგადოებაში. ამ იდეებს ხშირად უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ყველაზე ძლევამოსილ შეიარაღებულ ძალებს და მსოფლიო რელიგიებს. პოლიტიკა არ არსებობს იდეების გარეშე, რადგან ადამიანები სწორედ იდეების გარშემო ირაზმებიან თავიანთი მიზნების მისაღწევად.

პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი კატეგორია ძალაუფლებაა. ძალაუფლება არის უნარი აიძულო სხვა, გააკეთოს ის, რასაც სხვაგვარად არ გააკეთებდა.

პოლიტიკა ადამიანთა ურთიერთქმედების ისეთი სისტემაა, რომელიც ამ ძალაუფლების მოპოვებას, შენარჩუნებას, გაზრდასა და გავრცელებას ისახავს მიზნად. პოლიტიკაში ჩაბმულები არიან არა მარტო ცალკეული ადამიანები, არამედ ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფები და მთელი სახელმწიფოებიც კი.

ძალაუფლება ადამიანთა ურთიერთობებში ვლინდება. ავტორიტეტი და იძულების მუქარა ძალაუფლების მთავარი ატრიბუტებია.

პოლიტიკის ბუნება ყველაზე კარგად სახელმწიფოს მოწყობასა და მის ქმედებებში ვლინდება.

სახელმწიფოს მართვა მთავრობას აკისრია, რომელიც საზოგადოებაზე კონტროლს ახორციელებს, რათა კოლექტიური გადაწყვეტილებები სისრულეში მოიყვანოს. ამიტომაც ხშირად პოლიტიკას მთავრობასთან, სახელმწიფოსთან აიგივებენ, პოლიტიკის შესწავლას კი – მთავრობის შესწავლასთან.

პოლიტიკის გაგება შეიძლება როგორც ინსტიტუციური, ასევე ინდივიდუალური თვალსაზრისით.

- ინსტიტუციური მიდგომა პოლიტიკაში გულისხმობს საჯარო საკითხების კვლევას, მთავრობის ქმედებების შესწავლას და სახელმწიფოს ფუნქციების განსაზღვრას.

- პიროვნული მიდგომის შესწავლის ობიექტია კერძო პირების მოღვაწეობა, მთავრობის გავლენის მიღმა მყოფი საკითხები და საზოგადოებრივი პროცესები.

თანამედროვე სამყაროში პოლიტიკის ერთ-ერთი ასპექტი სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობაა. თანამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით კი დემოკრატიულ ქვეყნებში, სახელმწიფო რელიგიისგან გამიჯნული უნდა იყოს, მაგრამ ხშირად ეს ასე არ ხდება. რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთში შერევამ შეიძლება სერიოზულად დააზარალოს ადამიანის უფლებები: რელიგია, თავისი ხასიათით, უზენაესი ჭეშმარიტების მქადაგებელია, პოლიტიკა კი, არსებითად, დაპირისპირებული აზრების, კამათისა და უთანხმოების ასპარეზია.

რამდენიმე ათეული წლის წინ მეცნიერებმა გადაწყვიტეს უფრო ზუსტი სამეცნიერო მეთოდები <u>გამოეყენებინათ</u> და პოლიტიკური ფაქტების და მათი გამომწვევი მიზეზების რიცხვების საშუალებით შესწავლას

3 https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20

4 ხელაშვილი. გ. რა არის პოლიტიკა? // ჩემი სამყარო, 2013, №1, გვ. 22

5 ხელაშვილი. გ. რა არის პოლიტიკა? // ჩემი სამყარო, 2013, №1, გვ. 22

მოჰკიდეს ხელი.

პოლიტიკის შესწავლის რაოდენობრივი მეთოდის მიზანი პოლიტიკური პროცესების და მათი შედეგების მათემატიკური და სტატისტიკური საშუალებებით ახსნა, გაგება და პროგნოზირებაა.

რაოდენობრივი მეთოდის გამოყენების კარგი მაგალითი დემოკრატიულ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების შედეგების ანალიზია – „რამდენმა ვინ ვის და სად მისცა ხმა არჩევნებში? და რომელმა ფაქტორებმა განაპირობა საარჩევნო ხმების ამგვარი განაწილება?“

ნორმატიული პოლიტიკური მეცნიერება ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას, თუ როგორი იქნებოდა იდეალურად მოწყობილი საზოგადოება ან ამ საზოგადოების რომელიმე ასპექტი.

ემპირიული პოლიტიკური მეცნიერების მიზანი კი ვითარების უემოციო, მიუმხრობელი, ფაქტებით გამყარებული ანალიზია.

არსებობს პოლიტიკური იდეოლოგიის ორი ტრადიციული მიმდინარეობა - მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობები. იმის მიხედვით, რომელი ფასეულობები - ტრადიციული თუ ნოვაციური-მიიჩნევა ქვეყნის წინსვლის და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიღწევის საუკეთესო საშუალებად.

რაც შეეხება კონკრეტულ პოლიტიკურ იდეოლოგიებს, ისინი მრავალრიცხოვანია, მათ შორის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული იდეოლოგიებია:

1. **ლიბერალიზმი** თავისუფლებისა და თანასწორობის იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური იდეოლოგიაა;

2.**კონსერვატიზმი**, რომელიც მემარჯვენეობასთან ასოცირდება და ძველ, ტრადიციულ ფასეულობების სცემს პატივს.

3. **სოციალიზმი** ტიპიური მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომლის მთავარ საყრდენს სოციალური თანასწორობის, უფრო ზუსტად კი უთანასწორობის მაქსიმალურად შემცირების იდეა წარმოადგენს;

4. **ფაშიზმი** რადიკალურად მემარჯვენე, ტოტალიტარულ-ნაციონალისტური იდეოლოგიაა. იგი პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოცენდა იტალიაში და მეორე მსოფლიო ომის ეპოქის გერმანიაში თავის აპოგეას მიაღწია. ფაშიზმის იდეოლოგია რასობრივ და/ან ეროვნულ უპირატესობას ემყარება;

5. **კომუნიზმი** რადიკალურად მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელიც სოციალიზმის ერთგვარ ექსტრემალურ გაგრძელებას წარმოადგენს და რომლის მიზანიც სოციალური უთანასწორობის საბოლოო აღმოფხვრაა;

6. **ანარქიზმი** უტოპიური იდეოლოგიაა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ხელისუფლება გულისხმობს ინდივიდზე ძალადობას, რის გამოც ანარქისტებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება, როგორც ასეთი, საერთოდ უნდა გაუქმდეს.

**პოლიტიკური რეჟიმი** არის ამა თუ იმ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მართვის ფორმა. პოლიტიკური რეჟიმები იყოფა დემოკრატიულ და არადემოკრატიულ რეჟიმებად.[6]

**დემოკრატიულია** რეჟიმი, სადაც:

- მმართველობა ხორციელდება ხალხის ან მის მიერ კანონიერი გზით არჩეული წარმომადგენლების მიერ;
- გადაწყვეტილება, ამა თუ იმ სფეროში ან საკითხზე, მიიღება საზოგადოების და დაინტერესებული პირების თუ ჯგუფების აზრის გათვალისწინებით;
- ხელისუფლების სხვადასხვა შტოები ერთმანეთისგან განცალკევებულია გადანაწილებულია სხვადასხვა ინსტიტუტებში და ორგანოებში, რომლებიც ერთმანეთს აკონტროლებს და აბალანსებს;
- ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები აღიარებული და რეალიზებულია.

საპირისპიროდ, **არადემოკრატიულია რეჟიმი**, სადაც ძალაუფლება თავმოყრილია ერთი პირის (დიქტატორის) ან პირთა ჯგუფის (როგორც წესი, პოლიტიკური პარტიის) ხელში, რომელსაც ასევე სათავეში უდგას დიქტატორი;

ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, განსაკუთრებით, გამოხატვის თავისუფლება, იგნორირებული ან მოჩვენებითია.

არადემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმებში, ძირითადად, გამოყოფენ **ტოტალიტარიზმს** და **ავტორიტარიზმს**.

გარდა არადემოკრატიული რეჟიმების ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისა, ტოტალიტარიზმი ხასიათდება:

- სახელმწიფო იდეოლოგიით, რომელიც მოიცავს, განსაზღვრავს და აკონტროლებს საზოგადოების, ინდივიდების ცხოვრების ყველა ასპექტს, მათ შორის, პირად ცხოვრებას;
- რეპრესიებით, რომლებიც, ერთი მხრივ, ემსახურება გაბატონებული იდეოლოგიის მოწინააღმდეგეების განადგურებას და ამ გზით საზოგადოებაში შიშის დათესვას, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მასობრივი, ორგანიზებული წინააღმდეგობა.

6 https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20

ტოტალიტარული რეჟიმები ძირითადად დაფუძნებულია კომუნისტურ (საბჭოთა კავშირი) ან ფაშისტურ (გერმანია 1933-45 წლებში) იდეოლოგიაზე.

დღესდღეობით, ტოტალიტარული სახელმწიფოს თვალსაჩინო მაგალითი ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკაა, სადაც ბატონობს კიმ იონგ-უნი, სასტიკი დიქტატორი, რომელიც დიქტატორების მესამე თაობას წარმოადგენს (მამამისი - კიმ ჩენ-ირი ასევე ერთპიროვნულად მართავდა სახელმწიფოს და იყო "დიდი ბელადის", კიმ ირ-სენის შვილი), რომლის ხელშიც თავმოყრილია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ჩრდილოეთ კორეაში ადამიანის უფლებები სრულიად უგულვებელყოფილია. მაგალითისთვის, ადამიანები მხოლოდ იმიტომ შეიძლება დააპატიმრონ ან სიკვდილით დასაჯონ, რომ დიქტატორის გამოჩენაზე სათანადო სიხარული არ გამოხატეს.[7]

**ავტორიტარულ** სახელმწიფოში ძალაუფლება ასევე ერთ ადგილასაა თავმოყრილი, თუმცა, ტოტალიტარიზმისგან განსხვავებით, ავტორიტარული რეჟიმის მთავარი მიზანი მმართველი ჯგუფის და დიქტატორის ძალაუფლების შენარჩუნებაა და არა სახელმწიფო იდეოლოგიის გაბატონება, შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს სფეროები, სადაც ადამიანებს მეტ-ნაკლებად თავისუფლად საქმიანობის საშუალება ეძლევათ მანამ, სანამ დიქტატორის ძალაუფლებას არ დაუპირისპირდებიან ან მის ინტერესებს არ გადაკვეთენ.

ავტორიტარული სახელმწიფოს მაგალითად შეგვიძლია რუსეთის ფედერაცია დავასახელოთ, რომელიც, კონსტიტუციის მიხედვით, დემოკრატიული სახელმწიფოა და ევროპის საბჭოს წევრიც კია, თუმცა მასში ბატონობს ერთი პირის - პუტინის რეჟიმი, რომელიც 1999 წლიდან პრაქტიკულად ერთპიროვნულად მართავს სახელმწიფოს. რუსეთში ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით კი სამართლიანი სასამართლოს უფლება, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, მაქსიმალურად იზღუდება.

## საერთაშორისო ურთიერთობები

სახელმწიფოებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზი მთელი მსოფლიოა. სახელმწიფოები იბრძვიან თავიანთი ძლიერების და უსაფრთხოების გაზრდისთვის, ხშირად სხვა სახელმწიფოების ხარჯზე. მსოფლიო პოლიტიკაში ერთი სახელმწიფოს წარმატება სხვა ქვეყნების მხრიდან უარყოფით რეაქციას იწვევს, რადგან სახელმწიფოები ერთმანეთს ძნელად ენდობიან.

ყველა სახელმწიფოს ქცევა, ანუ მათი საგარეო პოლიტიკა, ეროვნულ ინტერესებს ემყარება. თუ სახელმწიფო სწორად ვერ შეაფასებს ძალაუფლების განაწილების და წონასწორობის ვითარებას, იგი შეიძლება დასუსტდეს და მსოფლიო რუკიდან გაქრეს კიდეც.

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების პროცესი რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. უკვე თითქმის ერთი საუკუნეა თეორიული დებატები გრძელდება და დღესაც არ არსებობს ამ დისციპლინის ყველას მიერ აღიარებული დეფინიცია, მისი კვლევის ობიექტისა და ძირითადი პოსტულატების ერთნაირად გაგება და ფორმულირება. ამის მიზეზი პირველ ყოვლისა არის ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლა მოითხოვს ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, რელიგიის, გეოგრაფიის, დიპლომატიის, დემოგრაფიის, საერთაშორისო სამართლის, ეთიკის, აგრეთვე ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების ცოდნას. ამის მიზეზი იყო, რომ თითქმის XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულამდე გრძელდებოდა დავა, ეღიარებინათ საერთაშორისო ურთიერთობები როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, თუ მისი ,,ენციკლოპედიურობისა'' და დისციპლინათაშორისი ხასიათის გამო იგი რამდენიმე დისციპლინად ,,დაენაწილებინათ".

ტერმინი "საერთაშორისო ურთიერთობები" პირველად გამოიყენა თითქმის ორი საუკუნის წინათ ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯერემი ბენთამმა. იგი ერთდროულად მიგვითითებს სამეცნიერო დისციპლინაზეც და მისი კვლევის ობიექტზეც. მოხდა ისე, რომ საერთაშორისო ურთიერთობები დიდხანს შეისწავლებოდა რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის (დიპლომატიის ისტორია, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია, მსოფლიო ეკონომიკა და სხვ.) თვალსაწიერიდან. ამის გამო, ისეთი სპეციფიკური სფერო, როგორიც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა კომპლექსია, სპეციალური თეორიული კვლევის გარეშე აღმოჩნდა.[8]

საერთაშორისო ურთიერთობები როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ისტორიისა და სამართლის წიაღიდან გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომამდე საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა არ არსებობდა და მის ფუნქციებს ძირითადად სამართალი და ისტორია ითავსებდა. ძირითადად ისტორიკოსები, უფრო ზუსტად კი, დიპლომატიის ისტორიკოსები იყვნენ დაკავებულნი

7 https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20

8 ა. რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006, გვ. 7

სხვადასხვა ისტორიული ფაქტების ანალიზით, თუმცა, ამ ფაქტების განზოგადებასა და დასკვნების გამოტანაზე არავინ ფიქრობდა. ასევე აღსანიშნავია, პუბლიცისტიკის და ჟურნალისტების როლი;

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დისციპლინის ჩამოყალიბება დიდად განაპირობა XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფამ და 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებამ.

ჩამოყალიბებისთანავე საერთაშორისო ურთიერთობები განვითარდა კონკრეტული იდეოლოგიური მიმართულებით და მისი ხედვა აიგო ერთი თეორიის - იდეალიზმის საფუძველზე.[9]

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის მიერ წამოყენებული ცნობილი 14 პუნქტი მიიჩნევა იდეალიზმის მანიფესტად. იგი მოიცავს პუნქტებს საიდუმლო დიპლომატის აღკვეთის შესახებ და შეთანხმებების ღიად დადების აუცილებლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლით დასრულდა „ცივი ომი", რომელიც მიმდინარეობდა აშშ-სა და სსრ კავშირს შორის. ამით დამთავრდა მსოფლიოში ბიპოლარული სისტემა და წარმოიშვა ახალი რეალობა, რამაც გამოიწვია ძალთა თანაფარდობებისა და გეოპოლიტიკური ვითარების შეცვლა - მსოფლიო იქცა ერთპოლარულ სამყაროდ, სადაც მთავარ მოთამაშედ მოგვევლინა ამერიკის შეერთებული შტატები.

„ცივი ომის" დასრულების შემდგომ პერიოდში მსოფლიო პოლიტიკაში განვითარებულმა მოვლენებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასების პროცესზე, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს.[10]

სამხედრო ტექნოლოგიის სწრაფმა პროგრესმა და კაცობრიობის ახალმა „ეკოლოგიურმა" შეგნებამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობათა არსი და ამ მოვლენების შედეგად სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ მიზნებში უსაფრთხოების ადგილი კეთილდღეობამ დაიკავა.

დღეს მსოფლიში არ არსებობს დიდი და პატარა ქვეყანა, რომელიც უსაფრთხოდ იქნება. „დილემა სწორედ ისაა, რომ რაც არ უნდა გაძლიერდე, შენი უსაფრთხოება კვლავ არ არის უზრუნველყოფილი"[11]

ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოსათვის უსაფრთხოების საკითხი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს ბევრ რამეს, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ეს არის სუვერენიტეტის, ქვეყნის მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტების, კულტურული თვითმყოფობის დაცვა-შენარჩუნება.

ერთი ქვეყნის სამხედრო პოტენციალის ზრდა აიძულებს მის მეტოქეს თავიანთი სამხედრო შესაძლებლობის გაძლიერებაზე იზრუნონ. ნათელია, რომ ყველაზე ძლიერი ქვეყანაც კი არ არის უსაფრთხოდ, რადგანაც მისი მეტოქეები, საპასუხოდ, საკუთარი პოზიციების გაუმჯობესებას ცდილობენ და ამგვარ კონკურენციას ბოლო არ უჩანს დილემა სწორედ ისაა, რომ რაც არ უნდა გაძლიერდე, შენი უსაფრთხოება კვლავ არ არის უზრუნველყოფილი.

სამყაროში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ძალას, ძლიერებას აღიარებდნენ, უსაფრთხოებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება სავსებით გასაგებია.

ყოველ ქვეყანას უსაფრთხოების საკუთარი პირობები და პრობლემები აქვს. ძლიერი ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემები განსხვავდება სუსტი ქვეყნის ანალოგიური პრობლემებისაგან, თუმცა მათ ბევრი საერთოც ახასიათებთ, უსაფრთხოების ისეთივე რთული და წინააღმდეგობრივი პრობლემები ექმნებათ.

გეოპოლიტიკურ სფეროში ცვლილებები გამოიხატა ევრაზიის კონტინენტზე ძალთა ბალანსის ძირეული შეცვლით, დასავლეთის ინსტიტუტების განვრცობითა და გაფართოებადი ევროპის დაბადებით. მას ემატება ტრადიციული კონფლიქტების დარეგულირება და ახალი კონფლიქტების წარმოშობა. ამასთან ირკვევა, რომ ევროპას აშშ-ს გარეშე არ გააჩნია რესურსები ამ კონფლიქტების დარეგულირებისათვის და ევრაზიის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

ეკონომიკური ძვრები - გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გლობალურად გავრცელებას. ამ ტიპის ეკონომიკამ უკვე მოიცვა გიგანტური სივრცეები ყოფილი სსრ კავშირის და მისი სატელიტების, აგრეთვე კონტინენტური ჩინეთისა.

ტექნოლოგიური ძვრები - გამოიხატება ინფორმაციიის საშუალებებში მიმდინარე ყოველდღიური რევოლუციებით, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათზე. არნახული წარმატებებია კომუნიკაციური ტექნოლოგიების და კოსმოსის ათვისების სფეროშიც.

სამხედრო ხასიათის ძვრები განისაზღვრება როგორც პოლიტიკური და გეოპოლიტიკური, ასევე ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორებით. აქედან გამომდინარეობს დასავლეთის წამყვანი როლი სამხედრო სფეროში (რომელიც გარკვეულწილად რუსეთის სტრატეგიული ბირთვული პოტენციალით ბალანსდება). სამხედრო ძალის განმსაზღვრელი განადგურების საშუალებებთან ერთად მართვისა და

9 Jervis, R. Cooperation Under Security Dilema. "WorldPolitica" Vol 30 N 1 1978
10 https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20
11 R. Jervis. Cooperation Under Security Dilema. "WorldPolitica" Vol 30 N 1 1978, p. 30

დაზვერვის საშუალებებიც ხდება, უპირველეს ყოვლისა, კოსმოსური. ახალი რევოლუცია სამხედრო სფეროში მოსალოდნელია XXI საუკუნის 20-იანი წლებისთვის. ეს ფაქტი ძირეულად შეცვლის ჩვენს წარმოდგენებს სამხედრო მოქმედებების ხასიათზე.

კულტურული ძვრები - ინფორმაციის გავრცელების საშუალებებისათვის ეროვნული თუ სხვა სახის ბარიერების თანდათანობითი გაქრობით გამოიხატება.

თანამედროვე მსოფლიოში სახელწიფო უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია, ეროვნულ გადარჩენასთან, გლობალური და რეგიონალური უშიშროების სფეროში ჩატარებული კვლევები კონცენტრირებას ახდენენ, სახელმწიფოს უსაფრთხოების საფრთხეთა ცვლილებების შესწავლაზე.

კოლექტიური უსაფრთხოება წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ან განსაზღვრული რეგიონის ერთობლივი მოქმედებების სისტემას, რომლებიც ხორციელდება იმ საფრთხეების თვიდან ასაცილებლად, რაც ემუქრება მშვიდობას, აგრეთვე აგრესიის აქტების დათრგუნვის მიზნით.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით დასუსტებულ ევროპას არ შეეძლო დამოუკიდებლად წინააღმდეგობა გაეწია ომში გამარჯვებული საბჭოთა სახელმწიფოსაგან მოსალოდნელი აგრესიისათვის, რომელმაც საგრძნობკად განიმტკიცა პოზიციები.[12]

საჭირო იყო ერთიანი, ძლიერი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით. 1948 წელს საფუძველი ჩაეყარა ჩრდილო-ატლანტიკურ ხელშეკრულების ორგანიზაციას - ნატოს, რომლის ძირითადი დანიშნულება და მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ წევრ-სახელმწიფოებს დაეხმარეოს აგრესიის მოგერიებაში, რაც გათვალისწინებულია გაეროს წესდებით.

გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად, თუკი მოხდება შეიარაღებული თავდასხმა ორგანიზაციის წევრზე, არავითარ შემთხვევაში არ ეხება ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას მიმდინარე, ვიდრე უშიშროების საბჭო არ მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად აუცილებელ ნორმებს.

მრავალრიცხოვან უნივერსალურ თუ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (NATO), ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს ახალი არქიტექტურის მშენებლობაში ცენტრალური როლი და მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება. უახლოეს წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად ცხადყო, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი XXI საუკუნეში წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციას უსაფრთხოების სფეროში.

უსაფრთხოების ახალი გარემო ალიანსისაგან მოითხოვს: ტრანსფორმაციასა და ბალანსის ძიებას მის ტრადიციულ მისიებსა და ახალ გლობალურ საფრთხეებს შორის;

ამრიგად, საერთაშორისო პოლიტიკაში მთავარი მოქმედი პირები სახელმწიფოებია, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები, რეჟიმები, რეგიონები და, ხშირად, ინდივიდებიც სერიოზულ გავლენას ახდენენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. საერთაშორისო პოლიტიკის მიზანი მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევაა, მაგრამ, ჯერჯერობით, კაცობრიობამ ამ მიზნის მიღწევა ვერ მოახერხა.

## გამოყენებული ლიტერატურა


- Akobia, E. International Relations Theory, Tb., 2006
- Gvenetadze, E. International Security and Conflicts
- Durmishidze, I. Toronjadze, The role of the world's civilization aspects in the International Relations
- Kakachia, K. The concept of the National Interests. 2008
- Rondeli, Al., International Relations, Tb. 2006
- Rondeli, Aleksandre. Little country in the International System : [monograph], Tb., 2009
- Chitadze, N. Nato - North Atlantic Treaty alliance as a peace and security guarantor in the world.
- Khelashvili. G. What is my politics? My world, 2013, N1


12 ჩიტაძე, ნ. ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბ., 2008, გვ. 10